



# პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი



2018 წ  
შპს ორიენტირი

## შესავალი

პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი შექმნილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებების გაუმჯობესების, მათი ინფორმირებულობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „**შპს ორიენტირი**“ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით პროფესიების მსურველი პირებისთვის. წინამდებარე გზამკვლევის შექმნის იდეა ეხმიანება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს საკონსულტაციო მომსახურებასთან დაკავშირებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის გამჭვირვალე პროცედურები, რომლებიც სხვადასხვა დოკუმენტსა და ნორმატიულ აქტშია თავმოყრილი და დაინტერესებული სტუდენტისთვის მოძიების სიმძნელეს ქმნის. სტუდენტის გზამკვლევაში თავმოყრილია პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საკონსულტაციო მომსახურების შესახებ:

1. კონსულტაციისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების შესაძლებლობა;
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა, მობილობა;
3. არაფორმალური განათლების აღიარების წესი;
4. კარიერული სერვისები, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა;



### 1. კონსულტაციისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების შესაძლებლობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამითა და მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების მიხედვით პროფესიული სტუდენტის შეფასება მხოლოდ მისი უშუალო ჩართულობით და სწავლის შედეგების დადასტურებით არის კოლეჯის „**ორიენტირი**“ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ემსახურება პროფესიულ ორიენტაციას და სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვას და ეხმარება პროფესიულ სტუდენტს მიიღოს სათანადო კონსულტაცია, როგორც თეორიულ კომპონენტში, ასევე პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებისას და შესაბამისად, სწორად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, რომელიც საკუთარი მიღწევებისა და შესაძლებლობების გაზრდაში ეხმარება მას.

ამ მიზნის მისაღწევად, კოლეჯი „**ორიენტირი**“ შესაძლო სერვისს სთავაზობს პროფესიულ სტუდენტებს, მაგალითად: კონსულტაციას, პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებისთვის საჭირო

დამატებით ღონისძიებებს, უკუკავშირის სხვადასხვა ფორმას. სტუდენტური სერვისის მომხმარებლები გარკვეული პერიოდულობით იძლევიან უკუკავშირს, რასაც კოლეჯის „ორიენტირი“ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მიზნობრივად იყენებს სტუდენტზე მორგებული სერვისების გასაუმჯობესებლად და პროგრამის თეორიულ ან/და პრაქტიკულ კომპონენტში ცვლილების განსახორციელებლად; კოლეჯი „ორიენტირი“ უზრუნველყოფს თეორიული ნაწილისთვის კონსულტაციების მიღების შესაძლებლობას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში, დამატებითი პრაქტიკული ღონისძიებებში ჩართულობას სთავაზობს, რაც პროფესიული დავალებების შესრულებისთვისაა საჭირო;

## 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა, მობილობა

### პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით. დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. კონკურსის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია დამატებითი პირობა.
- პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას; საგნობრივ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობას, დაწესებულებისათვის განსაზღვრული მისაღები კონტიგენტის ფარგლებში, განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი;
- მოდულურ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას; მოდულურ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობას დაწესებულებისათვის განსაზღვრავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
- დირექტორი ბრძანებით აცხადებს მიღებას კონკრეტული საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ბრძანებით განისაზღვრება:
  - ა) პროგრამის ზუსტი დასახელება და საფეხური;
  - ბ) ჩარიცხვის პირობები;
  - გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი;
  - დ) დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების თარიღები;
  - ე) გამოცდის/გასაუბრების ჩატარების თარიღები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ვ) სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი.
- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივ პროგრამებზე ჩარიცხება პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და აკმაყოფილებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.
- მეოთხე ან მეხუთე საფეხურის პროფესიულსაგანმანათლებლო/საგნობრივ პროგრამებზე თუ მათ არ გააჩნია წინა საფეხური, ჩარიცხება პირი, რომელსაც მიღებული აქვს სრული ზოგადი

განათლების დოკუმენტი და აკმაყოფილებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

- მესამე საფეხურზე საბაზო განათლების დოკუმენტის საფუძველზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია გააგრძელოს სწავლა იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივ პროგრამაზე მე-4 და მე-5 საფეხურზე სრული ზოგადი განათლების დოკუმენტის წარდგენის გარეშე.
- "შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე".
- პროფესიულ სტუდენტთა კვლევის ფარგლებში კვლევის შედეგების მიზნით სასწავლო პროცესის დაწყებიდან 24 სამუშაო დღის განმავლობაში გრძელდება რეგისტრანტთა მიღება და მათი სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით ტარდება დამატებითი მეცადინეობები, რომელთა საერთო დატვირთვა არ აღემატება 36-40 საათს კვირაში;
- პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია (პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივი პროგრამისთვის) წინა საფეხურის პროგრამის ათვისება(ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან წინა საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება.
- დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში;

### **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
  - ა) პირადი განცხადება;
  - ბ) უცხო ქვეყანაში წასვლა;
  - გ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;
  - ე) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
  - ვ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;
  - ზ) მძიმე ავადმყოფობის გამო;
  - თ) ორსულობისა და ახალშობილის მოვლის გამო;
  - ი) უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების გამო;
  - კ) დაწესებულების შინაგანაწესის განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში;
- სტატუსის შეჩერების პერიოდში დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება ან დამატებითი პირობების დაწესება აღდგენისათვის;

- პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული, თუ მოითხოვსპირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან სამსაო დღეში.
- სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 1 წლის ვადით. ამ ვადაში სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა
- სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში;

### **პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა**

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრილი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი.
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, სტუდენტის წავლას აგრძელებს ინდივიდუალური გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

### **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
  - ა)პირადი განცხადება;
  - ბ)საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
  - გ)გარდაცვალება.

დ)კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით; ე)დაწესებულების შინაგანაწესის განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
- პირს, რომელსაც შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მოითხოვსპირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან ხუთ სამსაო დღეში;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

### **პროფესიული სტუდენტის მობილობა**

- დაწესებულებაში მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება(შიდა მობილობა) ან სხვა დაწესებულებაში გადასვლა(გარე მობილობა);

ბ) თუ სხვა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა ამ დაწესებულებაში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

- მობილობის მსურველთათვის, კერძოდ ამ დაწესებულების პროფესიულსაგანმანათლებლო/საგნობრივ პროგრამებზე ჩარიცხულ პირთათვის სხვა დაწესებულებაში გადასვლა შესაძლებლიანების მიერ დროს. ამისშესახებპროფესიულმასტუდენტმა დაწესებულების ადმინისტრაციას განცხადებით უნდა მიმართოს;
- თუ სხვა დაწესებულებიდან პირს სურს გადმოსვლა, მის განცხადებით მიმართავს დაწესებულებას, რასაც თან დაურთავს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) პირადი საქმე

ბ)ცნობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებულია აღიარებული კრედიტების შესახებან სტუდენტის ბარათი დამოწმებული დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით;

- მობილობის განხორციელებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივი პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან, ასევე ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე, რასაც მოხსენებითი ბარათის სახით წარუდგენს დირექტორს;
- მოდულური პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს და დაწესებულება ავტომატურად ჩაუთვლის მას გავლილ მოდულებს/სწავლისშედეგებს;
- პროფესიული სტუდენტის მობილობის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

### **3. არაფორმალური განათლების აღიარების წესი**

- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურის ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისადა ღირებულებების შემოწმება.

- არაფორმალური განათლების აღიარებისასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგულირდება დირექტორის ბრძანებით.

#### 4. კარიერული სერვისები, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების

##### მხარდაჭერა

- სასწავლო პროცესის განმავლობაში პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ეფექტური და კონფიდენციალური მხარდაჭერასაგან საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებით პერსონალურ დონეზე, რაც ვლინდება კონკრეტულ პირთან ინდივიდუალური კონსულტაციებში. გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტს აქვს კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის შესაძლებლობების ფართო სპექტრი (კარიერული, იურიდიული, სამედიცინოდასხვა).
- პროფესიული სტუდენტების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები დეტალურად და გარკვევით წერილობითი ფორმით განსაზღვრულია სტუდენტის ხელშეკრულებაში;
- პროფესიული სტუდენტების მიერ, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროგრესირების პროცესში ინდივიდუალურ დონეზე არსებული საჭიროებების კვლევის გათვალისწინებით, ხორციელდება მხარდაჭერის ფორმების პერიოდული გადახედვა და შეფასება;
- ყველა პროფესიულ სტუდენტს მხარდაჭერის სერვისებზე უკუკავშირის გაკეთების შესაძლებლობა აქვს როგორც ნეგატიურ ასევე პოზიტიურ ფორმატში;
- ინფორმაციული უზრუნველყოფის, პროფესიული ორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის სერვისები, კურსდამთავრებულების მიერ სხვა პროგრამებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ, ინფორმაციის მიწოდებას ეფექტურად უზრუნველყოფენ;
- ხორციელდება კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და შენახვა;
- პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში დასწრების მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად არსებობს წახალისების მექანიზმები, კერძოდ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს საუკეთესო დასწრების და აკადემიური მოსწრების პროფესიული სტუდენტის წახალისება;

##### მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობა

- მასწავლებლებსა და პროფესიული სტუდენტებს შორის, სხვა მასწავლებლებთან, პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ურთიერთობა ეფექტურ თანამშრომლობაზეა ორიენტირებული და ურთიერთპატივისცემას ემყარება.
- მასწავლებლები და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს კომუნიკაციის გამჭირვალობას და სწავლების/სწავლის და შეფასების ყველა სემინტის საჯაროობას.
- პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზების მიზნით, მასწავლებლები და ადმინისტრაცია ეფექტურ ზომებს მიმართავს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად და დისკრიმინაციის უგულვებელსაყოფად.
- მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტებს პრობლემების გადაჭრის მეთოდების, ტრანსფერული და კრიტიკული-აზროვნების უნარების გამოყენების შესაძლებლობას აძლევენ.
- პროფესიული სტუდენტების და პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით, სისტემატურად ხორციელდება ეტაპობრივი შეფასება, ზუსტი და ობიექტური მიღწევების შეგროვება.